№ 78
ხუთშაბათი, 11 აპრილი 1896

1877—1896

# ივერია

№ 78
ხუთშაბათი, 11 აპრილი 1896

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №2 27

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ
იქმნება გამართული 28 აპრილს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის,
შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს
საზოგადოებას" (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში)
და **კნ. ოლგა თადეოზის ასულს**
ჭავჭავაძისას.
(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

**სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი** განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე **აკადემიაში სტიპენდიის (ერთის ან ორის) დაარსებისათვის კერძო შეწირულებათა საჭირო ფონდის შესაკრებლად.** კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ,—რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს დიმიტრის.

თავმჯდომარის მაგიერ კომიტეტის წევრი დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## ახალი ამბავი

—

*** ქართული დრამატიული არტისტების ამხანაგობამ ვ. აბაშიძის, კ. მესხის და ვ. გუნიას გამგეობით გაიმართა ქუთაისში 6 წარმოდგენა. ხალხი ყოველ წარმოდგენაზედ მრავალი ესწრებოდა — დიდი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზედ შემდეგ წარმოდგენებმა: ორ ობოლმა, მადამ-სან-ჟენმა, მარგარიტა გოტიემ, ხანუმამ და პირველ ბუზმა. უკანასკნელ წარმოდგენაზედ ქალბატონმა ეფ. მესხის ასულმა მიიღო ხელოვნურად მორთული ლირა და თაიგული საზოგადოებისაგან და კ. მესხმა გვირგვინი. ჩვენი ნიჭიერნი არტისტნი ქალბატონ საფაროვისა, გაბუნია-ცაგარელისა, ვას. აბაშიძე, კ. ყიფიანი და სხვა ყველანი, რომელნიც თითქმის ყოველ წარმოდგენაში იღებდნენ მონაწილეობას, აღტაცებულის ტაშის ცემით დააჯილდოვა საზოგადოებამ.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებამ უკვე მიიღო ყველა გუბერნატორებისაგან მათი აზრი იმის შესახებ, თუ გლეხთა ყოფა-ცხოვრების შეცვლა როგორ შეიძლება, რაზედაც ამ ორის წლის წინად გაეგზავნათ მათ ბრძანება; ამ ჟამად საერობო განყოფილება გუბერნატორებისაგან წარდგენილს აზრებს თავს უყრის.

*** ფინანსთა სამინისტრომ ბრძანება გამოსცა, რომ რკინის გზების მმართველობათ შეადგინონ დაწვრილებითი ანგარიში აგარაკში მიმოსვლის შესახებ. ამ ანგარიშზედ იქმნება დამოკიდებული საზოგადოდ ახლო-მახლო მოგზაურობისათვის ტარიფის შემცირების საქმე.

*** ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელსა და წალკის ორ-კლასიან სასწავლებელთან დაარსებული იქნება სამეურნეო განყოფილებანი. ამ განყოფილებას აზრად ექმნება გააცნოს მოსწავლეებს პირუტყვთა მოშენების საქმე და რძისა, ყველისა, კარაქის და სხვ. გაკეთება. ამ სამეურნეო განყოფილებათათვის სამიწად-მოქმედო სამინისტროს გადაუდვია სახელმწიფო მიწების ნაჭრები, პირველისათვის 216 დესეტ., ხოლო მეორეისათვის—500 დესეტინა.

*** 1 მაისიდამ შემოღებულ იქმნება ახალი ტარიფი საქონლის გადატან-გადმოტანისათვის კავკასიისა და კასპიის იმიერ მხარის შუა. (ნ.ვ.)

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობ."-ეს გაუგონია, განზრახვა თურმე აქვთ ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელი იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა უწყებას გარდასცენ.

*** სოფ. ხევი (გურია): როგორც მამასახლისის მოხსენებიდამა სჩანს, ერკეთის საზოგადოებას წყალდიდობისაგან მოსვლია სულ 16,000 მან. ზარალი. 30 მარტს სოფლის სამოსამართლო კანცელარიაზე საზოგადო „ყრილობა" მოხდა. ამ ყრილობაზე აღიძრა, სხვათა შორის, კითხვა იმის შესახებ, რომ წრევანდელი საზოგადო გარდასახადი მთავრობამ გვადროვოს, ნაწილ-ნაწილად გადავიხადოთო. ამ აზრზე საზოგადოებამ თანხმობა განაცხადა და შემდეგი განაჩენი დაადგინა: «რადგანაც შემოდგომის წყალდიდობამ და სასტიკმა ზამთარმა დიდად დაგვაზარალა, ამისთვის ვთხოვთ ბ-ნს მაზრის უფროსს გვიშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ მიმდინარე წლის გარდასახადი, რომელიც შეადგენს 2,972 მ. და 24 კ., ნაწილ-ნაწილად შევიტანოთ ხაზინაში ხუთის წლის განმავლობაში, $^1/_5$ გარდასახადისა, რომელიც შეადგენს 594 მ. 45 კ., შევიტანოთ წრეულს, ხოლო დანარჩენი ფული ყოველ წლივ, ვიდრე უკანასკნელ $^1/_5$ არ გადავიხდითო". ამ განაჩენზე მთელმა საზოგადოებამ მოაწერა ხელი და განაჩენი წარედგინა მაზრის უფროსს.

*** გოჩა-ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა): ჩვენში არის დაარსებული სასოფლო ბანკი. ამ ბანკს ჰყავს ექვსასი წევრი და ორმოც ათას მანეთამდე თანხას აბრუნებს, ასე, რომ ეს დაწესებულება დიდად სასარგებლოა საზოგადოებისათვის, რადგან ბანკის შემოსავალი თავისს წევრებს ერთ-ერთს ოჯახის მოთხოვნილებას უკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, ამ ბანკის დახურვა ცოტა ზარალს-კი არ მოუტანს საზოგადოებას, მაგრამ, საუბედუროდ, ეხლა ჩვენში ამოჩნდნენ იმისთანა პირები, რომლებიც ხალხში ავრცელებენ ხმას, ვითომ ბანკს ერთი კაპეიკი არა აქვსო და ადვილად შეიძლება მალე დაიხუროს კიდეცაო. რასაკვირველია, უბრალო ხალხზე ამ სიტყვებს დიდი გავლენა აქვთ და ბევრი წევრთაგანი მართლა ცდილობს ადრიანად გამოიტანოს ბანკში შეტანილი ორიოდ კაპეიკი. სასურველია მამა მღვდ. ს. ცაგარეიშვილმა და ბ-ნმა დ. ლოლობერიძემ, როგორც ბანკის მმართველებმა და ავტორიტეტიანმა პირებმა აუხსნან ხალხს, რომ ბანკს არაფერი არ უშავს და მის შესახებ ცუდი სიტყვები გაავრცელეს ზოგიერთმა უკმაყოფილო ვაჟბატონებმა.

*** იქიდამვე: დიდად სანატრელია ჩვენში დაარსდეს საკვირაო სკოლა, რადგან მოზრდილმა კაცებმა და ქალებმა (ნამეტნავად ქალებმა) თითქმის ქართულად ხელის-მოწერა არ იციან. საკვირაო სკოლისათვის სახლიც მოიპოვება და საკმარისი მცოდნე პირებიც, მხოლოდ საქმის დაწყებაა საჭირო.

## ჩვენის ახალგაზრდობის თვით-განათლებას მოწეს რიგება სჭირია.

(ბბ. ა. ხ—ისა და ი. გოგებაშვილის წერილების გამო.)

—

ამ ორიოდე თვის განმავლობაში «ივერიაში" დაიბეჭდა ორი წერილი: ერთი—ბ-ნის ა. ხ—ისა (იხ. „ივ." № 7. ერთი „საშვალებათაგანი ქართულის ენის გასაძლიერებ-

## ფელეტონი

### პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

(გუშინ და დღეს)

შემდეგი *)

#### ფული და მეურნეობა

გერმანია ეკონომიურად უკან ჩამორჩა ინგლისს და საფრანგეთს. ამის უმთავრესი მიზეზი მისი გეოგრაფიული მდებარეობაა.

როგორც ზევით ვთქვით, ქალაქური ცხოვრება გაჩაღდა წყლის პირებზე. ამერიკის აღმოჩენამდე განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ხმელთა-შუა ზღვა, ხოლო შემდეგ ატლანტიის ოკეანი. გერმანია პირველთან უფრო ახლოს იყო და ამიტომ მე-XV საუკუნემდე აქ საქონლის და ფულის ტრიალი ვითარდება. ეს შეფერხდა მას შემდეგ, რაც სავაჭრო ცენტრი ატლანტიის ოკეანეში გადავიდა. გერმანია, დაშორებული ამერიკის გზიდამ, დაშორდა მთელ ახალ მოძრაობას. ამით გერმანიის პოლიტიკური განვითარებაც შეჩერდა.

იმ დროს, როგორც ვიცით, მთელ ევროპის ბედ-იღბალს რომის პაპი განაგებდა. მას და მის ამალას ფული ისე დასჭირდა, როგორც საერო პირთ. ამიტომ ევროპის სამღვდელოება ხარკს კრებს მორწმუნეთაგან და უგზავნის ,,პეტრეს მოადგილეს''. ამან კიდევ უფრო გაალარიბა ხალხი და დასცა მმართველთა ძლიერება. მთელი ევროპა რომის ტახტის საწველ ფურად გადაიქცა. თუ ეს დღეს უფრო საგრძნობელი შეიქმნა ვინემ წინად, საშუალო საუკუნოებში, ამის მიზეზია ფულით გარდასახადის აღება. წინად ეკკლესიისთვის იხდიდნენ: პურს, ხორცს, ყველს და სხვა საჭირო მასალას. ხოლო ამაების გადახდას საზღვარი აქვს. ახლა ამის მაგიერ ფული მოითხოვეს და ფულის გადახდას-კი საზღვარი არ დაურჩა. რაც მეტი გაქვს, მით უკეთესია. აი ასეთი ძარცვის წინააღმდეგ ულონო იყვნენ მაშინდელი ფეოდალები. მხოლოდ იქ, სადაც მეფემ ბურჟუაზიის წყალობით ფეოდალები ალაგმა და თავისი ბატონობა განამტკიცა, პაპსაც ეკარგვის თავისი ყოვლად-ძლიერება. 1438 წ. საფრანგეთის მეფემ კარლ VI-მ კანონი გამოსცა, რომლითაც საფრანგეთის სამღვდელოება რომიდამ რამოდენიმედ დამოუკიდებელი გახადა. მაგ. უმაღლესი სასულიერო პირთა განწესება მეფის შეუკითხავად და ნება-დაურთველად პაპს აღარ შეეძლო; აიკრძალა პაპისათვის ხარკის მოკრეფა და სხ. ერთის სიტყვით, ეკონომიურად და პოლიტიკურად განვითარებული ქვეყანა რომის უღლისაგან ადვილად თავისუფლდება. გერმანიას-კი ეს არ შეეძლო. მას, როგორც უკან ჩამორჩენილს, სხვა რამე საშუალებისათვის უნდა მიემართა. ასეთ საშუალებად დარჩა რეფორმაცია. რეფორმაცია რომ მაღალი კულტურის ნაყოფი ყოფილიყო, ის დაბალ კულტურიან ქვეყანაში აღარ გაჩნდებოდა. ცხადია, ეს დაჰბადა იმ გარემოებამ, რომ გერმანია წინ-წაიწია ცოტაოდნად, ხოლო იმდენად-კი ვერა, რომ პოლიტიკური ძალა გაეძლიერებია და პაპის ბრძანებისთვის თავისი ბრძანება წინ დაეხვედრებია. ამიტომ ის იძულებული შეიქმნა გაელაშქრნა არა პაპის ბრძანების, არამედ თვითონ პაპის წინააღმდეგ. აღორძინდა რეფორმაცია. მიუხედავად ამისა გერმანია მაინც უკან დარჩა [1]).

ფეოდალთა შესუსტება და სამხედრო წყობილების განმტკიცება პირველად პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ I-მა დაიწყო (1713—40). მან გაწრთვნა მუდმივი ჯარი და ყოველივე ღონეს ხმარობდა აზნაურთა თავ-გასულობის შესაზღუდავად. სამსახურში უპირატესობას არა კეთილშობილ, უბრალო მოქალაქეთ ანიჭებდა და სხ. ეს პოლიტიკა შეცვლილ იქმნა მისი მემკვიდრის ფრიდრიხ დიდის მიერ. მან ისევ მოწინავე წოდებას მიანიჭა უპირატესობა და მოინდომა გალონიერება. თუ ფრიდრიხ დიდი, განვითარებული და ვოლტერის თაყვანის-მცემელი ასეთს გზას დაადგა, ეს უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით. იმ დროს აზნაურობა ნივთიერად წაბორძიკდა და ცხადია მეფემ დახმარება მოისურვა. მეორეს მხრით, ის მფარველობს ვაჭრობა-აღებმიცემობას, რომლის გასაძლიერებლად მერკანტიული სისტემა შეითვისა. 1766 წ. აღკრძალა 490 ნაირი საქონლის უცხოეთიდამ შემოტანა და 1774 წ. მატყლის უცხოეთში გატანა. რა ნაირ პირობებში იყო მაშინ გერმანიის მეურნეობა? ამის გასაგებად საჭიროა ევროპის მაშინდელი ნივთიერი მდგომარეობა წარმოვიდგინოთ.

ყველა ერი, სანამ მრეწველობას დაადგებოდეს, მეურნეობას ადგია. მრეწველობის განვითარება ერის ერთ ნაწილს ატოვებიებს მიწათ-მოქმედებას და თავისკენ იზიდავს, ხოლო მეორე ნაწილის შრომას ანაყოფიერებს იმდენად, რომ მისი მომუშავებული მთელ ერს ყოფნის. ინგლისი გასულ საუკუნის პირველ ნახევარში და საფრანგეთი ამ საუკუნის დასაწყისში სამეურნეო ქვეყნებად ითვლებოდენ, უცხოეთიდამ სამეურნეო ნაწარმოებნი არ შემოჰქონდათ. 1763 და 1764 წ. ინგლისმა საზღვარ-გარეთ გაიტანა 820,000 კვარტერი ხორბალი, ერთი მაშინდელი მწერალი ამბობს: „რა ეშველებოდათ ჩვენს მემამულეთ, საზღვარგარეთ ბაზარი რომ არ ჰქონდეთო". 1767 და 1768 წ. 830,000 კვარტერი ხორბალი უკვე საზღვარ-გარეთიდამ შემოიტანა [2]). ამის შემდეგ ინგლისი სამუდამოდ სამეურნეო ნაწარმოებთა შემომტან ქვეყნად დარჩა. ეს ნიშნავს იმას, რომ ინგლისში მრეწველობა გაფართოვდა, დიდძალ ხალხს საქმე გაუჩინა და მეურნეთა ნაშრომის ბაზარი გაადიდა. რომელ უცხო სახელმწიფოს უნდა ესარგებლა ამ გარემოებით? საფრანგეთს შინაც-კი

*) იხ. «ივერია» № 78.

[1]) ამის შესახებ იხ. კარლ კაუცკის „Thomas More" 1887.

[2]) Fooke u. newmoch: „Die geschichte und die Bestimmung der Preire", ტომი I, გვ. 35.

ლად.») და მეორეც—ბ-ნის ი. გოგებაშვილისა (იხ. „ივ." № 51 „ღირსეული სახსოვარი"); ორსავე წერილში გატარებულია ის აზრი, რომ საჭიროა ჩვენი ახალგაზდობა, სკოლას გარეთ, ცოდნას დედა-ენაზედ იღებდესო; ამ საგანს პატივცემული ავტორები სხვა-და-სხვა მხრით სინჯავენ: პირველი ავტორი ამ საჭიროების დაკმაყოფილებას ასახელებს როგორც მხოლოდ ერთ-ერთ საშვალებას ქართულის ენის გასაძლიერებლად, ხოლო ბ-ნს ი. გოგებაშვილს ამ საჭიროების შესახებ ის აზრი აქვს გამოთქმული, რომ დედა ენაზედ შეძენილს ცოდნას სულ სხვა მნიშვნელობა აქვსო. ამნაირად ორისავე ავტორის შეხედულობა ერთსა და იმავე საგანზედ, ცალკ-ცალკე რომ გავსინჯოთ, გამომხატველია ორის უღრესის მხარისა და თუ ორსავე შეხედულებას ერთად მოვუყრით თავსა და ამნაირად საბაასო საგანს ყოველ-მხრით გავსინჯავთ, მაშინ უფრო ცხად-ვჰყოფთ ამ საგანსა და უკეთ გამოვარკვევთ ზემო-ხსენებულს საჭიროებას; აი სწორედ ამ უკანასკნელის აზრით შევუდექი მე ამ წერილის წერას და ვეცადე დამემტკიცებია, რომ დიდად საჭირო და თან შესაძლებელიცაა, რაც შეიძლება მალე, ქართულ ენაზედ მოეწყოს ჩვენის ახალ-გაზდობის თვით-განათლება.

—

როგორც თვით ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია არც სამშობლო, არც დედა-ენა, არ ჩაითვლება ნორმალურ არსებად, — სწორედ ისე არ შეიძლება ნორმალური და ჯეროვანი იქნეს იმისთანა განათლება, რომელიც არ არის აღმოცენებული ეროვნულს ნიადაგზედ.

განათლება ისეთი ძალაა, რომლის შეთვისება შეუძლია მეტ-ნაკლებობით ყოველს ცოტად თუ ბევრად კულტურულს ერსა; მაგრამ ამასთანავე განათლება ისეთი მცენარეცაა, რომელიც ჰხარობს ყველგან, სადაც-კი ცოტად თუ ბევრად ბარაქიანი ბუნებაა, მაგრამ რომელიც ჯეროვნად ჰხარობს ამისთანა ადგილას მხოლოდ იმ პირობით, თუ იქ, საცა მცენარეობს იგი, ჰავაც და ნიადაგიც ადგილობრივია; წინააღმდეგს შემთხვევაში-კი, თუ ჰავა ერთის ქვეყნისაა, ხოლო ნიადაგი მეორესი, თუ მაგ. ჰავა საქართველოსია, ხოლო ნიადაგი რუსეთიდამ ხელოვნურად საქართველოში გადმოტანილი,—ჰო ამნაირს პირობებში იგი მცენარე ვერ ხეირობს რიგიანად, ივვალება და იხამს დაგვალულს ნაყოფს. ეს თვით ბუნების კანონის დარღვევის პირ-და-პირი შედეგია.

საზოგადო მოვლენაა, რომ კაცს ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი, ყოველი ამბავი, სამშობლო ენაზედ გაგონილი ანუ წაკითხული, სულ სხვა ნაირის ცხოველ-მყოფელის ძალით ჩაესმის და ეღვენთება ყურში და სულ სხვა ნაირის სიმტკიცით ებეჭდება-ესისხლ-ხორცება გულ-გონებაში.

აქედან აშკარაა, რომ ვისაც, ანუ რომელ ერსაც ჰსურს შეითვისოს ჯეროვანი განათლება და უფრო მტკიცედ შეისისხლ-ხორცოს მეცნიერება, იმისთვის საჭიროა, რათა მთელი პროცესი მისი სწავლა-განვითარებისა, უმთავრესად მაინც, სამშობლო ენაზედ სწარმოებდეს, ე. ი. ეროვნულ ნიადაგზედ იქნეს დამყარებული. ჩვენში-კი, როგორც მოგეხსენებათ, საუბედუროდ—თითქოს განგებ იმ მიზნით, რომ ქართველობა ვერასოდეს ვერ ეღირსოს ნამდვილ განათლებას—ისეა მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე—მოკიდებული პირველ დაწყებითი სკოლიდამ და გათავებული უმაღლესის სასწავლებლის უკანასკნელის კურსით,—რომ ხშირად ქართველი ინტელიგენტი, არამც-თუ ქართულს ლაპარაკს ვერ ახერხებს ხეირიანად, არამედ ფიქრიც კი არ ეხერხება თავისს ენაზედ.

ეს გარემოება (სასწავლებლებიდამ ქართულის ენის განდევნა), როგორც ჰხედავთ მეორე მხრითაც დიდად დამღუპველია ჩვენთვის, ე. ი. ამ გარემოების გამო, გარდა იმისა, რომ ჩვენი განათლება უნორმალოა, ამასთანავე თვით ჩვენი ენაც ისე დამუხრუჭებული და ფრთებ-შეკვეცილია, რომ ძლივს იბრუნებს სულსა, რადგანაც იგი ენა მოკლებულია, სხვათა შორის, თავისის თავისუფალის ზრდა-განვითარებისათვის იმ ერთ-ერთ აუცილებლად საჭირო პირობასაც, რომელსაც შეადგენს მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლება სამშობლო ენაზედ.

როდის გაგვიმთელდება გული, დაკოდილი ამ გარემოებით, როდის მიექცევა ყურადღება ჩვენს სამართლიანს საყვედურებს და ჩივილ-მუდარას და როდის ვეღირსებით, რომ ჩვენს სასწავლებლებში ქართული ენა გვეღირსოს, ეს ალლაჰმა უწყის!.. მანამდის, ვინ იცის, რამდენე კოკა წყალი ჩაივლის!!. მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს გარემოება იმდენად კიდევ ვერ გაგვიტეხდა გულსა, თუ რომ ჩვენ თვითონ არ ვიჩენდეთ დაუდევრობას და უყურადღებოდ არ ვსტოვებდეთ მეორე, სკოლაზედ არა ნაკლებ საიმედო, გზას, რომლითაც ერს შეუძლია განათლება დედა-ენაზედ მიიღოს და ამნაირის განათლების შემწეობით ენაც გაიძლიეროს. ეს გზა გახლავსთ—თვით განვითარება ( თვით-განათლება ) თვით - განვითარების საქმის მოწეს-რიგება და წინ-წაძღოლა ხომ მაინც შეუძლია საზოგადოებას. მიკვირს, ამდენს ხანს რად არ ვზრუნავთ ამ საქმისთვის და თუ ჯერ-ჯერობით ქართული ენა სკოლაში ვერ დაგვიწინაურებია თვით-განათლების მიღების მსურველთ მაინც რატომ არ მივაწვდით საშვალებას დედა-ენაზედ თვით-განვითარებისთვის? აქაც ხომ ვერავინ დაგვატანს ძალას: გინდათ თუ არა, თქვენს ახალ-გაზდობას თვით განათლება უცხო ენაზედ მიაღებინეთო? ამნაირი ძალ-დატანება ყოვლად შეუძლებელია! მაშ, ნუ თუ გვგონია, რომ თვით-განათლებას სკოლურს განათლებაზედ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს ქვეყნის პროგრესისთვის? თუ-კი ჯეროვანის განათლების გასავრცელებლად საჭიროა შეგნებისა და თვით-ცნობიერების გაღვიძება, სწორედ საფუძვლიანი თვით-განათლება საუკეთესო წამალია თვით-ცნობიერების გაღვიძებისთვის; თორემ თვით-განათლებას რომ ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, იმ შემთხვევაში რუსეთის საზოგადოება, რომელსაც, მგონი ჩვენზედ უფრო ბლომად აქვს უნივერსიტეტები, სასურველის განათლების გავრცელებისთვის დაკმაყოფილდებოდა თავისის სასწავლებლებითა და აღარ შეიწუხებდა თავს შეედგინა ორი წრე (რომელთაგან ერთი ამ მოკლე ხანში შესდგა პეტერბურგში) თვით განათლების საქმის მოსაწყობად. ჩვენ-კი არც უნივერსიტეტი, არც ხეირიანი დაბალ-საშვალო სასწავლებლები და აღარც ჯეროვანი თვით-განათლება?! აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ თუ ჩვენმა ახალგაზდობამ დედა-ენაზედ შეიძლო თვით-განვითარება, მაშინ სკოლურის განათლების უცხო ენაზედ მიღება ჩვენს ახალგაზრდობასა და ენას აღარ დააჩნდება ისეთ მომაკვდინებელ დაღად, როგორც ეხლა არის, რადგანაც მოსწავლეს გაუჩნდება მეორე სკოლა, სადაც, თუ მოინდომებს, საფუძვლიანს ცოდნა-სწავლას, უმეტესად მაინც, დედა-ენაზედ მიიღებს.

ჯერ-ჯერობით-კი ჩვენში თვით განვითარების საქმე ასე სწარმოებს უმეტესად: ყმაწვილი თვით-განათლების პირველს საფეხურზედ, ასე თუ ისე, კმაყოფილდება ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოებებით და ამ გზით ძლივ-ძლივობით ეჩვევა ხეირიანს, უბრალო ლაპარაკს და, განსაკუთრებით, —ძლივს კანონიერად წერას. მაგრამ შემდეგ, როდესაც ყმაწვილს თვით-განვითარების სურვილი უფრო-და-უფრო უცხოველდება, ქართულს ლიტერატურაში ვეღარ ჰპოულობს მასალას ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად, იძულებული ჰხდება მიატოვოს ქართულის წიგნების კითხვა და შეუდგეს სხვა ენაზედ თვით განვითარებას ასე, რომ, ჩვენებურს ინტელიგენტს უფრო მაღალისა და სერიოზული აზრების გამოთქმა ქართულს ენაზედ ან სრულიად არ ეხერხება, ან და ძლივ-ძლივობით აბამს სიტყვას სიტყვაზედ; ეს საზოგადო მოვლენაა ჩვენში.

სევ—ლი.

(დასასრული იქნება).

## კორესპონდენცია.

—

**ს. მეჯვრისხევი**, 8 აპრილი. ამ თვის 4 რომ თენდებოდა, ქურდებმა გასტეხეს აქაური წმ. მარინეს ეკკლესიის კლიტე, შეცვიდნენ შიგ და გამოიტანეს ყოველივე, რაც-კი შეადგენდა მისს ქონება-სიმდიდრეს: ვერცხლის სამი მოზრდილი ჯვარი, ორი მათგანი ძველი ნაკეთობისა, ბარძიმი, ვარსკვლავი, კოვზი, ორი თითბრის ჯვარი და მთლად შესამოსი. ეს მისი ქონება აღწერით გამოვიდა თვრამეტ-ცხრამეტი თუმნისა და მეტიც აღარაფერი დარჩა შიგ! დარჩენ ხელუხლებელნი მხოლოდ ხატნი, რომელთა შორის ორი სულ მცირედ არის შეკერცხლილი. ფულად ოთხ-თუმან ნახევარი წაიღეს. ამ ჟამად ეკკლესია ცარიელია და წირვა-ლოცვაც შემდგარი იმ დრომდის, ვინემ იგი ეღირსება წირვისათვის უსაჭიროესს ნივთთა და ერთი ხელი შესამოსის შეძენას. სამის წლის მოუსავლობისაგან გაღატაკებული ხალხი დიდს სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, რადგანაც შემოდგომამდის გროშის შოვნა არ შეუძლიან. უიმისოდაც ვალით ღამის ამოჰხდეთ სული. ყოველის მხრით მოუფიქრებელია, როგორ გაჰბედეს ამ ეკკლესიის გატეხვა. იმას ნუ ვიტყვით, რომ ბოქაული აქვე სცხოვრობს თავისისა და მოსიარულე ჩაფართა «კომანდით», მას ისეთი ადგილ-მდებარეობა აქვს, რო ღამითაც რომ ღია ყოფილიყოს, შესვლა მასში ბოროტის განზრახვით არ უნდა შესძლებოდათ. იგი სძევს შუაგულ სოფელში, გარშემო მცხოვრებლები და დუქან-ბაზარი აქვს და მასთან სამის მხრით გზები უძევს,

---

ჰქონდა ბაზარი და, მაშასადამე, მხოლოდ მოჭარბებული ხორბლის გატანა შეეძლო. ბურთი და მოედანი დარჩა გერმანიას. 1795—96 წელს პრუსიამ ორი მილიონი ტალერის მეტი პური გაიტანა, ვინემ შემოიტანა. აი ამან ერთიანად გადაბრუნა გერმანიის მეურნეობა. ქვეყანას, ბატონ-ყმურ და ფეოდალურ წყობილებით, უცებ უცხოეთში ფართო ბაზარი გაუჩნდა. მეურნე აწარმოებს არა მარტო თავისი პირდაპირი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გასაყიდად, ბაზარზე გასატანადაც. მეურნეობა ბაზრის მოთხოვნილებამ ჩაითრია, მეურნე ფულის მოგებამ გაიტაცა. ერთის სიტყვით, ნატურალურ მეურნეობას ფულის მეურნეობა არღვევს. აიწია ნაწარმოების ფასი და მასთან ერთად შემოსავალი. მემამულე, რომელიც წინად სულს ძლივს იბრუნებდა, წელში გამაგრდა, გაღონიერდა და ცხოვრების სათავესკენ წამოიწია. ასეთ შემთხვევაში ეცადინეობენ, მეტი მიწა მოიმუშაონ, მეტი იარაღები შეიძინონ, მეტი თანხა იქონიონ და სხ. ყველა ამაებისათვის საჭიროა ფული, კრედიტი. ამ დროს არსდება სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკები, რასაც უწოდებენ Landsehaft. მისი წყობილება ასეთია: მემამულე-აზნაურები ადგენენ საურთიერთო ბანკს იმ მიზნით, რომ წევრთ იაფი სესხი მოუპოვონ. ამის პლანი პირველად ბერლინის ერთმა ვაჭარმა გამოიფიქრა (1767 წ.) და სამი წლის შემდეგ განახორციელეს სილეზიის მემამულეებმა. ბანკის საქმე ისე კარგად წავიდა, რომ საერთო ყურადღება დაიმსახურა. მეფე ფრიდრიჰ დიდმა ორასი ათასი ტალერი ხაზინიდამ ორი პროცენტით ასესხა. შემდეგ ეს გავრცელდა და ყველა პროვინციებში შემოიღეს. ბოლოს რუსეთმა და პოლშამ წაბაძეს და ამ ტიპის ბანკები დააარსეს (ორი ჩვენც გვაქვს). პირველად ბანკებში იგირავებდნენ მხოლოდ წევრთა მამულებს, მაგრამ ეს შემდეგ შესცვალეს და უფრო საზოგადო ხასიათი მისცეს. აი როგორ წარმოებდა სესხის აღება: წევრის მამულს შეაფასებდნენ და სესხს მხოლოდ მამულის ერთ ან ორ მესამედზე გასცემდნენ, ასე რომ მემამულეს არასოდეს მთელი მამულის დაგირავება არ შეეძლო. აღებულ ბანკის ბილეთზე აღნიშნული იყო მსესხებელის სახელი და გვარი და პროცენტის შე'ატანი დრო. ამ ბილეთებს ბირჟაზე საუკეთესო ადგილი ეჭირა. რასაკვირველია, ყველა ეს იმიტომ შემოიღეს, რომ მემამულის გაკოტრება თავიდან აეცილებინათ. აქ სიტყვა დავუთმოთ თანამედროვე მწერალს.

1798 წ. დაბეჭდილ წიგნში ვკითხულობთ: „პრუსიაში არ არის არც ერთი პროვინცია, სადაც ამ უკანასკნელ 25 წელიწადში მიწის ფასი არ აწეულიყოს. ასევე მოხდა უკანა პომერანიაში. ბევრი ქალაქის და სოფლის მიწის ფასი გაორდა და იჯარასაც მეტს იძლევიან. ზოგ უცოდინართ ჰგონიათ, ეს მხოლოდ დროებითია. ადრე ისევ დაეცემა ფასი და მრავალი ოჯახი დაიღუპებაო. ამისათვის საჭიროა ამ კითხვის გადაჭრა: მამულის ბანკებში დამგირავებელთ მოელის რაიმე საფრთხე? ორმა გარემოებამ წამოაყენა მეურნეობა: 1763—89 წ. მეფის დახმარებამ... და საადგილ-მამულო ბანკებმა. დღეს ფულს ვშოულობთ $4^1/_2{}^0/_0$, წინად კი $6^0/_0$ ვაძლევდით. $1^1/_2{}^0/_0$ წმინდა მოგება გვრჩება. თამბაქო და ქართოფილი მოგების მომცემი შეიქმნა და ახლა ხშირად მოჰყავთ. 1794 წ. ქ. შტეტინიდგან 9,938 ცენტნერი თამბაქო გაიტანეს. (1 ცენტნერი=120 გირვანქა). აგრეთვე გასავალი მიეცა ხილს, თაფლს, ნაქსოვს და ღორს. 1790 წ. 62,000 ტალერის მოქსოვილი ტილო გაიტანეს, 1793 წ. 30,000 ტალერის თაფლი, 1794 წ. 8153 ტონი ხილი და სხ. ყველა ამაებს წინად არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მე ვიცი მაგალითი, რომ მამულს, რომელიც წინად 450 ტალერად იჯარად გაიცა, დღეს 150 ტალერი მოგება შემოაქვს. მეორე მამული ათი წლის წინად 507 ტალერად აიღეს იჯარაში, მერე 10,500 ტალერად გაიყიდა... ხოლო იჯარად 1900 ტალ. გაიცა. ბეჯითობით და ხეირიანი მოვლით ასე გაუკეთესდება მამული. კარგი ფასი პურის, პირუტყვის, ერბოს, მატყლის, ტყავის, ერთის სიტყვით, ყველა ნაწარმოების უეჭველია ეს დიდი მიზეზია, მაგრამ მარტო აქედგან არ წარმოსდგება ეგეთი გაუმჯობესება... ჩემის აზრით, ნამუშავარის ფასი კიდევ აიწევა. საზიანოა ეს კერძო პირის ან სახელმწიფოსათვის? არა მჯერა. ამასთანავე მამულის დაკარგვა შემცირდა, მაგ., 1787 წ. 25 მამული აიწერა და გაიყიდა (პომერანიის ერთ ნაწილში), 1795 წ. კი მხოლოდ 5 მამული [3]).

ამნაირად მეურნეობა შედგა ახალ გზაზე. მისი მიზანი ბაზარი შეიქმნა. როგორც ავტორი იხსენიებს, ასეთი ცვლილება ბევრს არ ეჭაშნიკათ, წინასწარმეტყველობდენ დაღუპებითო. საიდან წარმოსდგა ამგვარი შეხედულება? საქმე იმაშია, რომ პრუსიის სხვა და სხვა ნაწილი სხვა-და-სხვა დროს განვითარდა. მაგ. სილეზიაში პოლშის ვაჭრობის გავლენით მე-XVI-XVII ს. მიწად-მოქმედებამ კაპიტალისტიური ხასიათი მიიღო. მამული ბევრმა ბურჟუამ შეიძინა, შემდეგ ესენი გააკეთილშობილეს. რაკი მიწას ფასი მიეცა, ბატონებმა თავის ყმებს საკუთრება წაართვეს და დღის ქირით ამუშავებდენ. აქედან დაიბადა სოფლის პროლეტარიატი. დანარჩენი პროვინციები: პომერანია, ბრაუნშვეიგი, მარკეტი და სხ. ისევ ძველებურ ნიადაგზე დარჩნენ. როცა პოლშის ვაჭრობა შეფერხდა, სილეზიის მემამულეთაც საქმე ცუდად წაუვიდათ და მრავალი გაკოტრდა. აი ამ მაგალითით ხელმძღვანელობდენ ახალი თომა ურწმუნონი. მათი აზრით, მამული უნდა იყოს ოჯახის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი პირდაპირი სახსარი და არა კაპიტალი, თანხა, საიდანაც მოგებას გამოველით. ასეთ ორ-ნაირ

[3]) Rudolph Meyer: „Hundert jahere Konservativer Politik" 1896 I.

ასე რომ გამკლელ გამომგლელი, შინაური, თუ უცხო აქ ვერ ასცდება. როცა მგზლესია გასტეხეს, ბოქაული ახალი დაბრუნებული იყო სოფ. ლამისყანიდამ, სადაც სამიოდე დღე დაყო რაღაც საქმისათვის. ამ დღესვე ვერ მოიცალა სხვა-და-სხვა საქმისა გამომგზლესიისათვის ყური ეგდო, და მეორე დღესაც სოფელ. ახალ სოფელს გასწია ბოქაულმა ჩაფრებით, სადაც ოთხის თუ ხუთის დღის წინად ადგილობრივი მღვდელი გაექარცვათ ავაცებს, ბევრი ცემით, ტანისამოსი მთლად შემოუძარცვათ და ფულად, ვექსილებით და ნივთეულობით წაუღიათ ორასი თუმნისა. ეს მეოთხე დღეა ახალ-სოფელშივეა ბოქაული. რაკი პატრონი აღარავინ იყო, აქაური მამასახლისი წავიდა აქეთ-იქით და კიდეც მიუყვანია ბოქაულისათვის ერთი საეჭვო კაცი.

მდინარე მეჯუდამ მოგლიჯა უკუღმასოფლის საბძელ-ბაღები და ამ ჟამად შიგ შუა სოფელში გადავარდა წყალი. მცხოვრებლები იღუპებიან და მათი პატრონი არავინ არის. ხალხი ძრიელ შეწუხდა.

აქაურივე.

## უცხოეთი

**ინგლისი.** „ნოვ. ვრემ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდამ, საპოლიტიკო წრეში სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ «სამთა კავშირი» განახლებული არის და აგრეთვე „სამთა კავშირი“ ინგლისს უახლოვდება, მაგრამ იმგვარად-კი, რომ ყოველი სახელმწიფო ცალკ-ცალკე შეჰკრავს კავშირს ინგლისთანაო. ინგლისელები დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანია ხელს არ შეუშლის მათ აფრიკაში, მაგრამ სწადიათ გერმანიამ გულწრფელად დაუმტკიცოს ინგლისს ესაო, ამისათვის საჭიროა შორეულ აღმოსავლეთში პოლიტიკა გამოიცვალოსო.

**ავსტრ-უნგრეთი.** „შლეზიშე ცაიტუნგი“ ამბობს, რომ გრაფი გოლუხოვსკის შესახებ ეჭვი აქვთ, თავისს საკუთარს, ნაციონალურს, პოლონურს ინტერესებს მისდევსო. ამგვარი მიმართულება გრაფის, სხვათა შორის, იმაშიაც იხატება, რომ ინგლისის მიმართ დიდს თანაგრძნობას იჩენს და მის პოლიტიკას ემხრობაო. გრაფ გოლუხოვსკის პოლიტიკის მომხრენი არიან, მადიარები, პოლონელები. გრაფსა ჰსურს პოლონია აღადგინოს ინგლისის შემწეობით, რაც გერმანიისა და რუსეთის ინტერესებისათვის სავნებელიაო.

**საფრანგეთი.** სენის დეპარტამენტის ამომრჩეველთ სენატორად ამოირჩიეს ცნობილი რადიკალი ბაროდე. ამრჩეველთა რიცხვში ერიენ პარისის ქალაქის საბჭოს წევრებიც. ბაროდეს ამორჩევა რადიკალთა და სოციალისტთა მოქმედებად მიაჩნიათ და ამბობენ ოტეილში მომხდარმა მანიფესტაციებმა გამოიწვიაო. ბაროდე წინადაც იყო ამორჩეული 1879 წელში, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტად ტიერი იყო. მაშინ ბაროდე ამოირჩიეს 180.000 ხმით მონარქისტების კანდიდატისა (27,000 ხმა) და ზომიერი რესპუბლიკელების კანდიდატის (130.000 ხმა) წინააღმდეგ. ამ არჩევნებს ის შედეგი მოჰყვა იმ დროში, რომ მონარქისტებმა ტიერი უარ-ჰყვეს.

— სამინისტროსთან დაახლოებულს წრეებში ამბობენ, ბურჟუას უნდაო ზოგიერთი მინისტრი ოპორტუნისტებთა პარტიიდამ აირჩიოსო, ამგვარად პარლამენტში ხმების დიდს უმეტესობას შეიძენსო. ამბობენ აგრეთვე, დუმერმა შეიმუშავაო ახალი პროექტი შემოსავალის კვალობაზედ დაწესებულის გარდასახადისა, პარლამენტის აზრის დაგვარადაო.

**ბულგარია.** ავრცელებენ ხმებს, რომ უნდათო ბულგარიის განცალკევებული ეკკლესია მოსპონ და მართლ-მადიდებელთა ეკკლესიას შეუერთონ, კონსტანტინეპოლის პატრიარხის მეთაურობის ქვეშეო. ხალხი მეტად აღელვებულია ამით და განურჩევლად პარტიებისა ამბობენ, რომ არაფრის გულისათვის ჩვენ მამა-პაპათა სარწმუნოება'ში ერთ ანბანსაც არ შევსცვლითო. ხალხის ამგვარმა მტკიცე აზრმა უნდა დაარწმუნოს ყველანი, რომ ამაზედ ლაპარაკის ნებასაც არავის მისცემს ბულგარიის მთავრობა.

იმასაც-კი ამბობენ, რუსეთის მთავრობამ შეუთვალა სულთანს—დაავალე მსოფლიო პატრიარქს ბულგარიის ეკკლესია შეიერთოსო. ამაზე რუსეთის მთავრობასთან დაახლოვებული ორგანო „ნორდ“-ი, რომელიც გამოდის პარისში, ამბობს, ამგვარი ხმები ყოველივე სინამდვილეს არის მოკლებული, რადგან მსოფლიო პატრიარქი სრულიად დამოუკიდებელია და სრულიადაც არ ემორჩილება ხელმწიფეთ, მით უმეტეს სულთანს, რომელიც ქრისტიანიც-კი არ არის.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში დედ-მამა თავისს პირველ მოვალეობად იმასა სთვლის, რომ შვილებს მისცეს მართებული სწავლა-განათლება, რადგანაც თვითვეული ამერიკელი დარწმუნებულია, რომ სწავლა-განათლება უკეთესი ღონეა არსებობისათვის ბრძოლაში. იქ თვით უკანასკნელი ღარიბი გლეხი იმის სურვილშია, რომ შვილი კაცად გამოიყვანოს, ბრწყინვალე მერმისი მოუმზადოს და ამისათვის საჭიროა, რომ საფუძვლიანი სწავლა-განათლება მისცეს შვილსა. ვაჟი-შვილისათვის ეს უფრო ეადვილება ყოველს ამერიკელს, ვაჟი-შვილი ასე იქნება, თუ ისე, როგორმე თავს გაიტანს, ხოლო ქალი-შვილისათვისკი ძალიან უჭირდება რიგიანი სწავლა-განათლება მისცეს, რადგანაც ამას დიდი ხარჯი მოსდევს და ყველას არა აქვს ამისი შეძლება.

ჭკუიანი და მოხერხებული ამერიკელი ამისთანაებშიაც მარჯვე კაცია: ქალი-შვილს პატარაობითვე აჩვევს ცხოვრების ჭირ-ბოროტს თავისით გაუძლვეს და სხვის ხელში მაყურებელი არ იყოს. რაკი ბაშვი ქალი-შვილი გონებაში ჩავარდება, ანუ, უკედ ვთქვათ, ხუთისა ან ექვსის წლისა შესრულდება, ჩააგონებენ ხოლმე, რომ საჭიროა თვით იმოქმედოს, თვით გაისარჯოს და ამ გზით თვით შეიკრიბოს სახსარი უმაღლესის სწავლა-განათლებისათვის. ამისათვის მოუჭრიან ხოლმე მამულიდამ პატარა ნაჭერს მიწას, ერთს კვალს საბოსტნეს, რომელსაც მოუხნავს და დაუბარავს მამა და სათესად უმზადებს. ეს „საკუთრებაა“ ქალი-შვილისა. ყოველ დილას, მინამ დრო მოვა პირველ-დაწყებით სკოლაში წასვლისა და მერე, როცა დაბრუნდება სკოლიდამ, ქალი-შვილი უვლის თავისს ბოსტანს, სთესს, ჰრგავს, ჰრწყავს. რაც ბოსტანში მოვა, მერე ჰყიდიან ახლო-მახლო ბაზარში და ფულს განაყიდისას მთლად და ხელ-უხლებლად ცალკე აგროვებენ—ეს ფული სათავნოა ქალი-შვილისა უმაღლეს სწავლა-განათლებისათვის სამერმისო სახარჯოდ. ზოგჯერ გლეხი აჩუქებს ხოლმე ძროხას, რომელსაც ამ შემთხვევაში „საპანსიონო ძროხას“ არქმევენ. ქალი-შვილმა უნდა უპატრონოს ამ ძროხას, მოუაროს, აგროვოს რძე, ნაღები, სდღვიბოს კარაქი და სხვ. შემოსავალი ყოველ ამისაგან გადიდება უმაღლეს სწავლა-განათლების სახარჯოდვე. ამ გზით ქალი-შვილს საკუთარის შრომით უგროვდება ფული დღიდამ დღე, ვიდრე იმ ჰასაკში მოვა, რომ უმაღლესს სასწავლებელში გადავიდეს და უგროვდება იმოდენა, რომ საკმაოა წიგნები, რვეულები იყიდოს და სკოლაში ყოფნის ხარჯს გაუძლვეს. ეს კეთილი ჩვეულება ისე გავრცელებულია ამერიკის გლეხთა შორის, რომ იშვიათია იმისთანა კაცი გლეხთა შორის, რომელიც ამ ჩვეულებას არ მიზდევდეს. ამნაირად მოგროვილს ფულს ეძახიან «საპანსიონო მზითევს».

ხოლო ფათერაკი ყველა საქმესა სდევს. აქაც შეიძლება რაიმე უბედურებამ ყველა ანგარიში გააუქმოს, მოსავალი არ მოვიდეს, წახდეს, ძროხა ჭირმა გადიტანოს და სხვა ამისთანა და დედ-მამას შეძლება არა ჰქონდეს, დანაკლისი „საპანსიონო მზითევისა“ ვერ შეავსოს. მაშინ ერთის, ანუ ორის წლით ქალი-შვილის გადასვლა უმაღლეს სკოლაში ბრკოლდება ხანდისხან მეტი ხანიც ასე, რომ შესაძლოა სრულიადაც მოსცდეს უმაღლესს სწავლა-განათლებას, რადგანაც რაც ხანში შედის ქალი-შვილი, სხვა ბევრი მოვალეობა ემატება ოჯახში. ხერხიანმა ამერიკელმა ამასაც წამალი დასდო: იქაურმა პედაგოგებმა მოისაზრეს ახალი სისტემა, რომელიც ამისთანა უბედურ შემთხვევაში კაცსა ჰშველის და რომელიც დღეს ძალიან გავრცელებულია ამერიკაში. აი ერთი მოთხრობა ელისაბედ ბანკსისა, რომელიც გვიამბობს, როგორ აიცილა თაციდამ იგი უბედურება, რომელიც უქადდა უმაღლესს სწავლა-განათლებაზე ხელი აეღო.

«როგორც მომეტებული ნაწილი გლეხთა ქალებისა აღმოსავლეთის ამერიკისა, მეც მივაღწიე ათს წლამდე იმ იმედით, რომ, როცა გავათავებ პირველ-დაწყებითს სკოლას, გამგზავნიან უმაღლეს სკოლის პანსიონში და იქ განვაგრძობ სწავლასა. — დადგა ზაფხული, რომლის დამლევს მე ჩემის დედმამის ანგარიშით უნდა წავსულიყავ დედათა პანსიონში. უეცრად მთელს ჩვენს მხარეს ეწვია უბედურება: რაღაც ჭია გაჩნდა და ჭამა დაუწყო ყანებსა. მე ვიცოდი, რომ მოუსავლობა ჩემს არ-წასვლას პანსიონში მოასწავებდა და თუმცა ბევრი არა შემეძლორა, მაინც ბევრი ვიტკინე თავი იმაზე, თუ რა წამალი ვიხმარო, რომ ამოვჟლიტო ის ჭიები, რომელიც სთნქავდა ჩვენს ნამუშავარს და ჩემს „საპანსიონო მზითევსა“. ჩვენ მასწავლებელ ქალს მოსდიოდა სამეურნეო ჟურნალი, იქ ბევრი სხვა და სხვა წამალი იყო ნაჩვენები, მაგრამ არც ერთმა არა გვიშველარა და გაჟლეტის მაგიერად ჭია უფრო მატულობდა. ამ სახით მთელი მოსავალი წაგვივიდა ხელიდამ. წარმოიდგინეთ რა ცეცხლში ჩავვარდი, როცა დედ-მამამ გამომიცხადა, რომ იმედი ნუ გაქვს წელს პანსიონში შესვლისა და იქნება ვერც კულავ შეხვიდე, რადგანაც მთელი ერთი მესამედი აკლდა ჩემს „საპანსიონო მზითევს“ იმაზე, რაც საჭირო იყო ჩემის სწავლა-განათლების ხარჯის გასაძღოლად. მე მწუხარებისაგან არ ვიცოდი რა მექნა. ამ დროს ახლო ქალაქიდამ მოგვიტანეს ახალი ამბავი. ეს იყო ახალგაზდა ქალთა პანსიონის განცხადება. სხვათა შორის აი რა ეწერა: „მოსწავლე ქალებს შეუძლიანთ საქმე რამ იკისრონ პანსიონში და თითო საათში, რომელსაც ყოველ დღე შესწირავენ კისრად აღებულ საქმეს, წელიწადში ჩაეთვლებათ 25 დოლლარი *) სწავლისა და პანსიონში შენახვის შემოსატან ხარჯში. ყმაწვილმა ქალებმა, რომელნიც მოიწადინებენ ამას, კეთილ ინებონ და აცნობონ დირექტრისსას თავისი სურვილი და ამასთან დანიშნონ რამდენს საათის შრომას კისრულობენ დღეში“. დიდი ამბავი არ უნდოდა მეანგარიშნა, რომ თუ დღეში ოთხს საათს ვიკისრებდი, წელიწადში ასი დოლლარი ჩამეთვლებოდა და ოთხს წელიწადში ოთხასი დოლლარი. თქმა აღარ უნდა, რომ მე, დედმამის ნება დართვითა, ჩემი სურვილი ვაუწყე დირექტრისსას. ჭიამ შთანთქა ჩემი „საპანსიონო მზითევი“ და ამ გზით შესაძლო გამიხდა საქმე წარმემართნა. ამ საშუალებას მოვკიდე ხელი და მე, არამც თუ პანსიონის სწავლა-განათლება სრულად მივიღე, გარდა ამისა შევეჩვიე ჩემის საკუთარის სახლის მოვლას, წარმართვას, რიგიანობას და წესიერებას შევეჩვიე გაჭირების დროს საკუთარს გარჯასა და მხნეობაზე დანდობას.

*) დოლლარი ერთი მანეთი და 31 კაპ., ოქროზე რომ ვიანგარიშოთ.

---

ნივთიერ პირობებმა პრუსიის მებატონეთა შორის აღორძინა ორნაირი პოლიტიკური მიდრეკილება: სილეზიაში თავისუფალი კონსერვატორები, დანარჩენ ნაწილში ძველი კონსერვატორები.

ასე თუ ისე, ინგლისი გახდა გერმანიის ბაზრად. იქით მიჰქონდათ მიწის ნაყოფი, იქიდან მოჰქონდათ ფაბრიკის ნაყოფი, დამუშავებული საქონელი. ამით ძირიანად დაირღვა ძველი ურთიერთობა. წინად ოჯახის მიერ გაკეთებული ნივთი სრულებით აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ახლა იგივე ოჯახი ფაბრიკის მუშტარი შეიქმნა. შრომამ ერთმხრივი მიმართულება მიიღო. მეურნე აკეთებს ერთ (ან რამოდენიმე) საქმეს, იმ იმედით რომ ნაშრომს გაყიდის და სხვის მიერ მომუშავებულ საქონელს იყიდის. მისი შრომა ერთიანად ბაზრისაგან არის დამოკიდებული. ბაზარმა პურის მაგიერ ბალახი რომ მოითხოვოს, მეურნემაც ბალახი უნდა აკეთოს და პურს თავი დაანებოს. ასეთია ამ ბატონის ძლიერება. 1809 წ. ა. ტაერი სწერს: „მეურნეობის მიზანია, არა რაც შეიძლება დიდი წარმოება, არამედ რაც შეიძლება დიდი წმინდა მოგება—რაც სრულ წინააღმდეგ დამოკიდებულებაში შეიძლება იყვნენ. მაშასადამე გონიერ სამეურნეო მოძღვრებამ უნდა გვიჩვენოს: რა ნაირად შეიძლება მიწიდან წმინდა მოგება (reingewinn) დავინარჩუნოთ!!. („grundsaetre der rationellen Landwirthschaf“) შეიძლება ბევრი პური, ღვინო და სხ. გქონდეთ, მაგრამ მაინც ღარიბი იყოთ, შეიძლება იგივე ნაყოფი ცოტა გქონდეთ და მდიდარი იყოთ. ამას ბაზრის მოთხოვნილება სწყვეტს. აიწევა ფასი და ცოტა ნამუშავარითაც ბერს იგებთ, დაეცემა ფასი და ბევრი ნამუშავარითაც ნაკლებს იგებთ. სამეურნეო კითხვა ბაზრის კითხვად გადაიქცა. აი ეს ჭეშმარიტება პრუსიის მემამულეთ თავიდანვე შეუგნიათ და მთელი მათი მოქმედება დღემდი აქეთკენ არის მიმართული.

მეკლენბურგში ასი კილოგრამი ხორბალი ღირდა:

| | | |
|---|---|---|
| 1781—85 | 11 მარკა და | 31 პფენინგი |
| 1786—90 | 14 „ | 18 „ |
| 1796—1800 | 17, „ | 48 „ |
| 1801—1805 | 23 „ | 65 „ |
| 1806—10 | 19, | 7 [4]) „ |
| 1811—15 | 14, „ | 20 » |
| 1816—20 | 29, „ | 15 „ |

4) ნაპოლეონის ომებია ფასის დაკლების მიზეზი და არა ბაზრის პირობები.

ეს უმაღლესი წერტილია. ეს ხანა არის მეურნეობის ოქროს ხანა. რა გავლენა აქვს ბაზარს იქიდანაც სჩანს, რომ ნაპოლეონის ომების დროსაც 14 მარკას ქვევით ფასი არ წავიდა, მაშინ როდესაც მოსვენებულ 1781—85 წ. იგივე ხორბალი 11 მარკა ღირდა. აშკარაა ბაზარი თავისი ძლიერებით თოფ-ზარბაზანსაც აღემატება!

რაკი ასე აიწია მიწის ნაყოფის ფასი, მასთან ერთად მიწის ფასიც უნდა აწეულიყო. ერთი და იგივე ზომის მამული (Nute) მეკლენბურგში საშუალო რიცხვით 1770—74 წ. იყიდებოდა 20457 მარკად, 1785—89 წ. 27165 მარ., 1800—1804 წ. 6681 მარ., 1805—1809 წ. 71253 მარ. როგორც აქედან სჩანს მიწის ფასი თითქმის გაოთხებულა. სოფელმა თავისკენ უანგარიოდ ფული მიიზიდა. ყველა ეს, რასაკვირველია, მებატონეთა სასარგებლოთ. გლეხობას კიდევ ბატონყმობის ბორკილი არ შეხსნია. ამას მიუმატეთ ისიც, რომ ამ დროს მამულის შეძენა არავის შეეძლო, თუ არა აზნაურს (გარდა სილეზიისა). ეს ძველი კანონი ძალაში დარჩა ლიბერალურ რეფორმების შემოღებამდე. მაშასადამე მამულების ყიდვა-გაყიდვა ტრიალებდა აზნაურთა შორის, ვალის აღება, მიწა-ადგილების დაგირავება, ახალი მიწების ყიდვა-გაკეთება, გაშენება და გაუმჯობესობა—აი ამ დროს საზოგადო სამეურნეო მიდრეკილება. და ყველა ეს რის იმედით? ინგლისის ბაზრის ე. ი. ინგლისის მრეწველობის განვითარების. მართლაც მაშინდელი ინგლისელი მექარხნე დარწმუნებული იყო, რომ მისი ქარხნის საქმე საქვეყნო საქმეა, ის თუ დაიღუპა მთელი ქვეყანა მასთან ერთად დაიღუპება და სხ. განსაკუთრებით ასეთ აზრებს მანჩესტერლები ქადაგობდენ. რა ეშველება ევროპას, რომ ჩვენ ტანთ და ფეხთ საცმელს არ უგზავნიდეთ და მის პურს და ხორცს არ ვყიდულობდეთო. ეს გერმანელ მეურნესაც სჯეროდა. შეავიწროვეთ ინგლისის წარმოება და შევიწროვდება მეურნეობის ბაზარი. ამით ინგლისის ქარხანას და გერმანიის სახნავ-სათეს მიწას შორის პირდაპირი ხიდი გაიდვა. იქ მრეწველობა, აქ მეურნეობა, იქ მექარხნე, აქ მემამულე. მათი ინტერესია საქონლის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა. გერმანიის მემამულენი და ინგლისის მრეწველნი თავისუფალ ვაჭრობის უკიდურეს მომხრეთ გამოვიდ[ნ]ენ. ამის წინააღმდეგ ამხედრდენ ინგლისის მემამულენი და 1815 წ. პარლამენტმა დააკანონა: აიკრძალოს ინგლისში უცხო ხორბლის შემოტანა, რომლის კვარტერი 80 შილინგს ქვევით ღირსო და კიდევაც დაიწყო მრეწველთა დიდი მოძრაობა ხორბლის სრულიად უბაჟოთ შემოტანისათვის. ეს მოძრაობა ინგლისის ისტორიაში დიდად შესანიშნავია იმით, რომ მეურნეობის და მრეწველობის ინტერესთა წინააღმდეგობა სინათლეში გამოიტანა და აშკარად გახადა. ხოლო ამ მოძრაობის გამარჯვებამ (1846 წ. იანვარში) ქვეყანას აუწყა, რომ დღევანდელი ცხოვრება მრეწველობაზედ არის აშენებული, მეურნეობას მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭერიაო. ასეთი მოძრაობა გერმანიაში დღეს არის, რასაკვირველია, ისე, როგორც გერმანიას შეფერის ე. ი. en miniature. მაგრამ მაშინ ინგლისის მოძრაობას გერმანია ტაშს უკრავდა, ვინაიდან სამეურნეო ინტერესი უცხო ბაზარს მოითხოვდა. მიუხედავად 1815 წ. კანონისა გერმანია ინგლისის ბაზარზე მაინც ბატონობს [5])

ნ. ჟ—ნია.

(შემდეგი იქნება).

5) იხ. Fooke und Hewmarchs laco cit.

იგი საქმენი, რომელსაც მოსწავლე-ქალებს ასრულებინებენ პანსიონში, არაფერს სიმძიმეს და სიძნელეს არ წარმოადგენენ. საქმე სამზარეულოსი მთლად მოსამსახურებსა აქვთ დავალებული. მოსწავლე ქალები კი სწმენდენ მებელს, შლიან სუფრას, ჰრეცხენ ფინჯნებს და ჭიქებს, სწმენდენ ვერცხლეულს. ზოგჯერ, თუ მოისურვებენ მწვანილს არჩევენ, მუხუდოს, ცერცვს ჩენჩოს აცლიან და სხვა ამისთანა, ზოგნი მდღევარობენ პანსიონის შესავალ კარებთან, უღებენ კარს, როცა კარს დაურეკვენ. ზოგი ზარსა ჰრეკს გასაკვეთის დასაწყისის და გათავების ნიშნად, სადილ-ვახშამზე მოსაწვევად და სხვ. ყველა ეს მოსაქმენი ემორჩილებიან კლასსის ზედა-მხედველ ქალს, მისს განკარგულებას ასრულებენ და არავის ფიქრადაც არ მოსდის ეს თავისის ნებით მოსაქმენი ქალნი პანსიონში მოსამსახურეებში გარიოს. ამისთანა საქმეები არ უშლის ქალებს სწავლასა, სწავლას იგინი არ აკლდებიან მხოლოდ სასვენი დრო ამათ ნაკლები აქვთ სხვებზე, სხვაში-კი არაფერში არ ირჩევიან სხვებისაგან: სწავლა ისეთივე და იმოდენივე აქვთ, როგორც სხვებს, რომელთაც საპანსიონო და სწავლის ფული მთლად შეაქვთ თვითონ.

ესეთია ეს მარტივი, მაგრამ კეთილ-მომქმედი სისტემა, რომელსაც ამერიკელნი ეძახიან: „სისტემა თავისის-თავის შველისა.“

ეს სისტემა პირველში მიღებულ იყო ქალთა საშუალო სწავლა-განათლებისათვის. ეხლა საუნივერსიტეტოდაც ამ სისტემამ ფეხი აიდგა და გაიდგა კიდეც. ჩიკაგოს უნივერსიტეტში მოზდილ ქალებისათვის, რომელნიც იქა სწავლობენ, დედა-აზრი ამ სისტემისა მიღებულია, ხოლო ზოგიერთი ცვლილებაა. ქალი-სტუდენტი უნივერსიტეტში მარტო სწავლობს და სწავლის გარე სხვა არა საქმე არა აქვსრა თავის სარჩენად. ხოლო გამგებელნი უნივერსიტეტისა ჰცდილობენ ქალს-სტუდენტს ბინა უშოვონ ვისმე ოჯახში, სადაც საქმეს რასმე ოჯახში საკეთებელს აკისრებინებენ ხოლმე და მის გასამსჯელოდ ეძლევათ ოთახი, ზოგჯერ სადილ-ვახშამიცა. ზოგჯერ ოჯახ გარეთად უშოვიან საქმეს რასმე, მაგალითებრ, გაზეთების და ჟურნალების რედაქციებში, გადასაწერს, სტენოგრაფობას, ყმაწვილების სასეირნოდ ტარებას და სხვას ამისთანას. ყოველს ამაში ქალს-სტუდენტს ფული არ ეძლევა, ეძლევა მხოლოდ სადგური, სადილ-ვახშამი და ნება მოისმინოს ლექციები.

(ვ. ი ლ.)

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 აპრილი*).

**ბერლინი.** საიმპერიო კანცლერი გაცივდა და გარეთ ვეღარ გამოდის.

**ლონდონი.** ბულუვაიოს მმართველნი დარწმუნებულნი არიან, რომ ქალაქს უთუოდ დაიფარვენ მატაბელელთაგან. ამბობენ, ბულუვაიოსაკენ მიმავალ გზებზე ყველგან ასაფეთქები ნაღმებია ჩაყრილი და აგრეთვე მრავალი ყუმბარები აქვთ დამზადებულიო. თუ რომ მატაბელელნი ქალაქში შევლენ, უთუოდ რომ ერთის კვირის შემდეგ გამოელევათ რაც რამ საგზალი აქვს შენახული ბულუვაიოში მყოფს ჯარსაო.

10 აპრილი.

**პეტერბურგი.** 9 აპრილს მთავარმა ფერდინანდმა მათ უდიდებულესობასთან ისაუზმა. ცარსკოე სელოდამ რომ დაბრუნდა, მთავარმა ინახულა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

9 აპრილს ბულგარიის მთავარმა პეტერბურგის მიტროპოლიტს პალლადის გაუკეთა ვიზიტი და ერთ საათამდე დაჰყო მასთან. მიტროპოლიტმა მაცხოვრის ხატი გაუგზავნა მთავარს.

9 აპრილს მთავარს ფერდინანდს ქალაქის დეპუტაცია წარუდგა; დეპუტაციაში იყვნენ ქალაქის მოურავი რატკოვ-როჟნოვი და სხვა ხმოსნები.

საღამოს 8 საათზედ ოსმალეთის საელჩოში მთავარის ფერდინანდის პატივსაცემლად სადილი იყო გამართული.

**მოსკოვი.** დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძეს თავმჯდომარეობით შესდგა კომიტეტი, რომელმაც გოგოლს ძეგლი უნდა დაუდგას მოსკოვში.

**ვარშავა.** რეპორტერი გრეინერტი ჟურნალ „მუხას“ რედაქტორს ბუხნერს თავს დაეცა. ბუხნერმა რევოლვერი იხმარა, რომ თავი დაეფარა და გრეინერტი მუცელში დასჭრა.

**პარიზი.** ცნობილი ფინანსისტი ლეონ სე გარდაიცვალა.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა ბულგარიის მთავარი ოფიციალურად მიიღონ, როგორც მონარხი. მთავარს შესაფერის სამხედრო პატივით დაუხვდებიან.

**პარიზი.** ქენატი. სენატორმა დემოლმა სენატის სამის ზომიერ დასის პრეზიდენტის სახელით წინადადება წარადგინა, რომ მადაგასკარის კუნძულისათვის კრედიტის განხილვა გადადებულ იქმნას იქაადე, ვიდრე ისეთი კაბინეტი შესდგებოდეს, რომელსაც სენატი და დეპუტატთა პალატა ერთნაირად ენდობოდეს. მინისტრ-პრეზიდენტი ბურჟუა წინააღმდეგია დემოლის წინადადებისა, რომელიც ამტკიცებს ვითომ სამინისტრო მხოლოდ იმიტომ არსებობდეს, რომ კონსტიტუცია ირღვევოდეს. „კონსტიტუციის ახსნაო,—ამბობს ბურჟუა,—მარტო სენატის საქმე არ არის, არამედ მთელის პარლამენტისაო“. დემოლმა აღნიშნა ის გარემოება, რომ სენატმა სამჯერ განაცხადა თავისი უნდობლობა კაბინეტის შესახებაო. ბურჟუა მამულის სიყვარულის სახელით თხოულობს დაივიწყონ ეს შინაური განხეთქილება და მადაგასკარის კრედიტის საქმე განიხილონ. დემოლის წინადადება მიღებულ იქმნა 171 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 90-ისა.

**პარიზი.** 9 აპრილს ბურჟუას თავმჯდომარეობით მინისტრთ ბჭობა ჰქონდათ.

**ბერლინი.** პარლამენტმა ერთხმად მიიღო დეპუტატის აბტას წინადადება: ეთხოვოს მთავრობას ენერგიული საშუალებანი იხმარონ დუელების წინააღმდეგ.

**ვენა.** 9 აპრილს, კომორნას მახლობლად, თავისს მამულში გარდაიცვალა ბარონი მორიც გირში.

**ვენა.** ერც-ჰერცოგმა კარლოს-ლუდვიგმა რუსეთის და ინგლისის სამხედრო დეპუტაციები მიიღო. „ნეი ფრეი პრესს“-ი ამბობს, რომ სასახლეში, სადილზე, რუსეთის სამხედრო დეპუტაციისა და რუსეთის ელჩის თანადასწრებით, იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვაო.

**პორტ-საიდი.** 8 აპრილს „წითელის ჯვრის“ რუსეთის რაზმი მოვიდა 50 კაცით.

**ლონდონი.** მაჭეკინგიდამ იუწყებიან, რომ მის მახლობლად, ასე 175 ვერსისის სიშორით, 1,500-დამ 2,000-დე ბურელნი არიან შეყრილნი იმ აზრით, რომ საქონელზედ უკანონო გარდასახადი არ წაართვანო, ნამდვილად-კი ეშინიანთ ტრანსვაალს ხელახლად თავს არ დაესხნენ, რადგანაც ჯარებს მაჭეკინგში მოუყრიათ თავი.

**ქაირი.** სავალო კასსის გამგეობის საფრანგეთისა და რუსეთის წევრთ აიძულეს გამგეობის დანარჩენნი წევრნი 15 აპრილს შეერთებულს სამართალს წარუდგნენ. იგინი აცხადებენ, რომ 14 მარტის დადგენილება უკანონოაო და თხოულობენ, რომ ეგვიპტის მთავრობამ უკანვე დააბრუნოს სარგებლით ის ფული, რომელიც დონგოლის ექსპედიციისათვის აიღეს. შაბათს რუსეთის დეპუტატი ქაირიდამ წავა და თავისს მინდობილებას საფრანგეთის წარმომადგენელს ჩააბარებს.

**მასსოვა.** 9 აპრილს ორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მენელიკისა და რას მანგაშას წერილები მიუტანეს ბალდისერას. რადგანაც მაიორმა სალსამ წარდგენილი პირობები არ მიიღო მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ, ამიტომ ნეგუსი თხოულობს ეს პირობების წერილი უკანვე დაუბრუნონ მას. იმ დრომდე, ვიდრე წერილები დაუბრუნდებოდეს მენელიკს, მაიორი სალსა მძევლად (ტყვედ) იქმნება მენელიკის ბანაკში და მერე-კი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებენ. ბალდისესარამ დაუყოვნებლივ გაუგზავნა მენელიკს ხსენებული ქაღალდები. შერიგების შესახებ მოლაპარაკება შესწყვიტეს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აპრილი.

| | მყიდველის | გამყიდველის | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,80 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 215½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 100¾ |
| 4% იმავე ბანკისა . | 97¼ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — „ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

რედაქცია, თანახმად იმ შენიშვნისა, რომელიც „ივერიის“ 52 №-ში ჰქონდა დაბეჭდილი და რომლითაც აუწყებდა, რომ განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის შესახებ წარმოთქმულს სიტყვებს ყველას კერ დავბეჭდავთო, აცხადებს, რომ რაც სიტყვები და წერილებია ამის შესახებ, გარეშე უკვე დაბეჭდილთა, აღარ დაიბეჭდება და ამიტომ ავტორებს შეუძლიანთ უკან დაიბრუნონ იგინი.

არ დაიბეჭდება: „ერთის კორესპონდენტის გამო“, „ცოტა-რამ მატყლით გაჭრობის შესახებ“, „მეურნეობა და მრეწველობა“, „კაის გავეყარეთ“.

ბ. კ. თავ—ძეს: პირდაპირ „კვალის“ რედაქციას მიჰმართეთ.

მ—ს: თქვენი „ელეგია“ არ დაიბეჭდება.

ვ—ს: თქვენი ლექსი „სურათი“ არ დაიბეჭდება.

არ—ძეს: (ნიგოითში) „საყურადღებო ამბები“ არ დაიბეჭდება.

ერთ მოსწავლეთაგანს: (ბათუმში) წერილი საკვირაო სკოლის შესახებ არ დაიბეჭდება.

სადგ. აჯიქაბულს—ვ. ბ—იას: გაზეთით ეს არ შეიძლება, თქვენვე დაგვათხვეთ კერძო წერილით, თუ რას უპირებს იგი აღნიშნულს თანხას.


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება
ცხოვრება წმ. დიდის მოწამისა
ეკატერინესი
გადმოღებული თ. სახოკიას მიერ
გამოცემა
უდაბურ წყალ-წმიდის ძმობისა.
ფასი ერთი შაური.

ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხ. სტამბას, ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ჯანრგის ლუხების მოყვარულთ ვურჩევთ:
ლუხუმს „საფუ“-სა—საუცხოვო და სასიამოვნოა.
საფუხს „საფუ“-სა—მშვენიერი სუნი აქვს და
მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.
ს. ვ. ბ.

(7—7)


ეს ტაქსა დამტკიცებულია კისგანაც ჯერ არს 9 მარტს 1896 წ.

# ტ ა ქ ს ა

## ნადირობისა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ტყეებში.

ნადირობა ნებადართულია იმ წესით, რომელიც დადგენილია უმაღლესად დამტკიცებულის კანონით, 3 თებერვალს 1892 წელსა

იმის ნიშნად, რომ ნადირობა ნებადართულია ამა და ამ დროსა და ამა და ამ ნადირზედ, მიეცემათ ბილეთები ან გრძელ ვადიანი (სეზონისა), ან უფრო მოკლე ვადისა (ერთჯერი), ამ ბილეთების სხვაზედ გადაცემა აღკრძალულია. მოკლე ვადიან (ერთჯერის) ბილეთით ნადირობა მხოლოდ სამი დღის განმავლობაშია ნებადართული.

ნადირობის ნების ასაღებად შემდეგი ხარჯია დადგენილი ყველა ტყეებში:

| | ფასი | |
|---|---|---|
| | მანეთი | კაპ. |
| ა) გრძელ ვადიანი (სეზონის) ბილეთის ფასი: | | |
| უძაღლოთ ნადირობისთვის — — — — | 5 | „ |
| ერთის მეძებრით — — — — — | 10 | „ |
| ორის ნაგაზით — — — — — | 8 | „ |
| ოთხის და მეტის ნაგაზით — — — — | 10 | „ |
| ორის მწევარით — — — — — | 5 | „ |
| ბ) მოკლე ვადიანის (ერთჯერის) ბილეთის ფასი: | | |
| უძაღლოთ ნადირობისთვის — — — — | „ | 50 |
| ერთის მეძებრით — — — — — | 1 | „ |
| ორის ნაგაზით — ═ — — — | „ | 80 |
| ოთხის და მეტის ნაგაზით — — — — | 1 | „ |
| ორის მწევარით — — — — — | „ | 50 |
| ხაფანგით ნადირობა იმ ალაგებში, სადაც ეს ნება დართულია, მელასი, კვერნისა, წავისა, და სხვ. დასაჭერად გარდაეხდებათ გრძელ-ვადიან (სეზონის) ბილეთში — | 5 | „ |

შენიშვნა: 1) ნადირობა აღკრძალულია შემდეგ ტყეებში: ყარაიაზის ტყეში ირემზედ, შველზედ, ჯეირანზედ და გარეულ თხაზედ, აგრეთვე ხოხობზე, თურაჯზედ; მარტყოფ-იორისა, სიღნაღისა, გაღმა-ალაზნისა და თელავის ტყეებში—ხოხობზედ; შირაქის ტყეებში—ხოხობზედ და თურაჯზედა.

2) ცეცხლის გაჩენის ასაცილებლად, ახალციხისა, კობლიანის და აბასთუმნის ტყეებში, იმ ალაგებში, სადაც წიწვიანი (ХВОЙННЫЯ, ე. ი. ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, ღვიო და ურთხელა) ხეები ბევრია—ნადირობა სრულებით აღკრძალულია 1 აპრილიდან დაწყებული ვიდრე 1 ოქტომბრამდე.

*) გარდა ყორულის დაჩისა, სადაც ნადირობის ნება იჯარითა აქვს აღებული კავკასიის სანადირო საზოგადოებასა 1902 წლის აგვისტოს პირველამდე.

მმართველი სახელმწიფო ქონებისა ა. გამრეკელი.
საქმის მწარმოებელი კ. პროტოპოპოვი. (3—6—1)

*) ეს დეპეშა 10 აპრილს, დილის 10 საათზე მიიღო რედაქციამ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Апрѣля 1896 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.